ხელშეკრულება საქონლის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1101/10/013

03 თებერვალი 2012 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი, ერთის მხრივ ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობა, მდებარე: ქ. თბილისი, წყნეთი, დ. ამილახვარის ქ. №27 ა, გამგებლის – გიორგი ნიკოლაძის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი", და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „უნიქოლორი", მდებარე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2, საიდ. კოდი 204447312, მისი დირექტორის ბადურ ქობლიანიძის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: დიდგორის რაიონის გამგეობისათვის საოფისე მცირეფასიანი საკანცელარიო (1). ლ220 ბლოკნოტი ალფავიტით ა-5 4 ცალის ფასი - 5.00 ლარი; სულ – 20 ლარი; 2). LIZ ბლოკნოტი ა-5 კნოპკით დამჭერით 14X20 185 KRL 2 ცალის ფასი – 6.50 ლარი; სულ – 13.00 ლარი; 3). სამაგიდე კვირეული ორი გვერდი 1 კვირა, (შავი) 703170290 1 ცალი – 19.00 ლარი; 4). MAL ტელეფონების წიგნი ალფავიტიანი ტყავის GW-10S 20229035 2 – ცალი ფასი-7.00 ლარი; სულ-14.00 ლარი;) საქონელის შეძენის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე. (შესყიდვის კატეგორია 22800000);

2. ხელშეკრულების ობიექტი

"მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს" დიდგორის რაიონის გამგეობისათვის საოფისე მცირეფასიანი საკანცელარიო საქონელის შეძენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდების თარიღად ითვლება: 2012 წლის 03 თებერვლიდან 01 მარტის ჩათვლით.
3.2. საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიღების დროს და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".
4.3. "შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს "მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონელის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. "შემსყიდველი" ვალდებულია:
- გადაუხადოს "მიმწოდებელს" შეთანხმებული ფასი;
- მიიღოს მიწოდებული საქონელი.

5.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:
- უკან დაუბრუნოს "მიმწოდებელს" მიწოდებული საქონელი, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს და მოითხოვოს მისი თავიდან შესრულება.

5.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია:
- გადასცეს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

5.4. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:
– მოსთხოვოს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

6.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 66.0 (სამოცდაექვსი) ლარს. (დღგ-ს, ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით).
6.2 დაფინანსება განხორციელდება მუხლიდან: „ოფისის ხარჯები";

7. ფასები

7.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან „შემსყიდველისათვის" უარესდება ხელშეკრულების პირობები.
7.2. ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ იქნება ინფლაციის მაღალი დონე, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება, საგადასახადო რეჟიმის შეცვლა და სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება : გადარიცხვა
8.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): საქონლის მიღების შემდეგ 15 კალენდარულ დღეში მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.
8.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს, შემდეგი საბუთები: ანგარიშ-ფაქტურა და მიღება-ჩაბარების აქტი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლიბა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
9.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში დააკისროს „მიმწოდებელს" საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად შესასრულებელი საქონლის მიწოდების ღირებულების 0,1 პროცენტის ოდენობით;
9.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელი" უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით;
9.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 1 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

10. ფორს–მაჟორული სიტუაციები

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდეგრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან ახორციელებს ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობის აპარატის უფროსი შორენა ლომაია და ინსპექტირების ჯგუფი.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2. თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2012 წლის 01 მარტამდე.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
14.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტურად.
14.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობა,
ს/კ 204521954
მდებარე: ქ. თბილისი, წყნეთი,
დ. ამილახვარის ქ. №27ა
ს/ს „ლიბერთი ბანკი„
ცენტრალური ფილიალი
ა/ა №GE95LBG0125152101627000;
ბ/კ 220101480;

გიორგი ნიკოლაძე

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „უნიქოლორი", მდებარე: ქ. თბილისი,
სანაპიროს ქ. №2, საიდ. კოდი 204447312,
ს.ს „პროკრედიტ ბანკი"-ს
საბურთალოს ფილიალი,
ა/ა №360201011800640
ბანკის კოდი 220101922
ბიზ. ელ: 394347

ბიბლიოთეკა ქობულიანიძე